საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-338
2022 წლის 19 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საკონსულო დაწესებულების გახსნის წესისა და ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 9 ივლისის №158 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ,,საკონსულო დაწესებულების გახსნის წესისა და ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 9 ივლისის №158 ბრძანების (ვებგვერდი, 15/07/2013, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.22.030.016083) პირველი პუნქტით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების:

ა) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის ,,პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,პ) არის საკონსულო დაწესებულების მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირი ადმინისტრაციულ მენეჯერთან ერთად;“;

ბ) მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საკონსულო დაწესებულებას შეიძლება ჰყავდეს ადმინისტრაციული მენეჯერი, რომელიც გარდა დაწესებულების ხელმძღვანელისა ანგარიშვალდებულია სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის წინაშე.

3. ადმინისტრაციული მენეჯერის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება, დაწესებულების უძრავი და მოძრავი ქონების აღწერისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა.“.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან.

საგარეო საქმეთა მინისტრი **ილია დარჩიაშვილი**